სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

---------- **ნოე ქაშიბაძე**

30 ივნისი 2016 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N37/36

2015 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 1 იანვარი

შინაარსი

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე 3
დეპარტამენტის საქმიანობის აღწერა 6
პირობითი მოსაზრების საფუძვლები 6
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე 9
სხვა განსაკუთრებული გარემოებები 9

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის (შემდეგში ,,დეპარტამენტი“) მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით 2015 წლის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის აუდიტი.

შესაბამისობის აუდიტის მიზანი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტორმა გამოიტანოს დასკვნა დეპარტამენტის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა რამდენად შესაბამისობაშია:

- **კანონმდებლობასთან**
- **მარეგულირებელ ნორმებთან**
- **სახელშეკრულებო მოთხოვნებთან**
- **შიდა ორგანიზაციულ პოლიტიკასა და პროცედურებთან**

აუდიტის მიზანს წარმოადგენდა, დეპარტამენტის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის შემოწმება არსებითი გავლენის მქონე საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით, მათ შორის:

- საქართველოს კანონი - „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ის ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანება „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს პერზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;

- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 21 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულება „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N 172 დადგენილება „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერი №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ 2015 წლის კანონი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 13 მარტის დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის №39 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 27 დეკემბრის N 33 დადგენილება - „სამსახურეობრივი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N 28 დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 7 ნოემბრის №49 დადგენილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2014 წლის 5 დეკემბრის N162 ბრძანება „აფხაზეთის ა/რ დევნილთა

საქმეების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის ყოველთვიური ლიმიტის დაწესების შესახებ“;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2015 წლის 7 მაისის N18 ბრძანება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის სარგებლობაში არსებული უძრავი ქონების, სარგებლობის უფლებით, ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობისათვის გადაცემის შესახებ“.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა დეპარტამენტის მიერ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით 2015 წლის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა:

- დეპარტამენტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება;
- დეპარტამენტის საქმიანობის განსახორციელებლად მიღებული დაფინანსება, მიმდინარე და კაპიტალიზირებული ხარჯები;
- ნორმატიული აქტებით დეპარტამენტზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მდგომარეობა;

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც ანალიზის, რისკების ან ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნება განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშეუსაბამობები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება დეპარტამენტის მიერ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით 2015 წლის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის შესახებ. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4100) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას

დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა დეპარტამენტის მიერ 2015 წელს საბიუჯეტო თანხების ხარჯვის მიზნობრიობა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

დეპარტამენტის საქმიანობის აღწერა

დეპარტამენტის მმართველობის სფეროსა და ძირითად ამოცანებს განეკუთვნება:

ა) მთავრობისა და მთავრობის თავმჯდომარისათვის წინადადებებისა და შესაბამისი დასკვნების წარდგენის მიზნით, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის (შემდგომში - დევნილი) პრობლემების გადაჭრის საკითხებში არსებული საერთაშორისო, სამთავრობო, საზოგადოებრივი და აკადემიური გამოცდილების, პროგრამებისა და ინიციატივების, კვლევებისა და მოსაზრებების შეგროვება, გაანალიზება და შეჯერება;

ბ) დევნილი მოსახლეობის ყოფის გაუმჯობესების ხელშეწყობისა და პრობლემების გადაჭრის მიზნით მთავრობასთან, ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან კოორდინირებული ურთიერთობა;

გ) დევნილთა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში სრულფასოვნად ჩართვისათვის წინადადებებისა და პროექტების შემუშავება;

დ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საინიციატივო ჯგუფებთან და დაინტერესებულ ფიზიკურ პირებთან ურთიერთობების წარმართვა დევნილთა სახელმწიფოზე დამოკიდებულების ეტაპობრივი შემცირებისა და მათი თვითკმარობის უზრუნველყოფისათვის წინადადებების შემუშავების მიზნით;

ე) მთავრობის გამგებლობაში არსებული დაწესებულების - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის (შემდგომში - წარმომადგენლობა) მართვა, წარმომადგენლობის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო - ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობა.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია განხორციელებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაცია

2015 წლის განმავლობაში დეპარტამენტის ბალანსზე რიცხულ ავტომობილებზე ჯამში გაიხარჯა 11,504.88 ლარის ღირებულების 6,998.41 ლიტრი საწვავი. საწვავის ხარჯვის ლიმიტები განისაზღვრებოდა დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით;

დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანების[1] მიხედვით 2015 წლის 14 ივლისამდე, საწვავის ლიმიტი დაწესებული იყო მხოლოდ 2 სატრანსპორტო საშუალებაზე (Mercedes-benz სახ. ნომ. DRD-415 ყოველთვიური ლიმიტი - 400 ლიტრი; Toyota 4 Runner სახ. ნომ. SKY-408 ყოველთვიური ლიმიტი - 365 ლიტრი). თუმცა, აღნიშნულ პერიოდში დეპარტამენტის ბალანსზე რიცხულ ავტომობილზე VOLKSWAGEN PASSAT სახ. ნომ. NSN-393 ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ფაქტობრივად გახარჯული იქნა 727.70 ლარის ღირებულების 440 ლიტრი საწვავი;

დეპარტამენტს, როგორც წინა აუდიტისას[2], ასევე მიმდინარე აუდიტის პერიოდში 2015 წლის 1 იანვრიდან 26 ივნისამდე დადგენილი წესის[3] შეუსაბამოდ, კვლავ ერიცხებოდა 4 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალება - 1 პერსონალური სარგებლობისათვის (დეპარტამენტის თავმჯდომარეს) და 3 სამსახურებრივი მიმოსვლისათვის.

შტატგარეშე მომუშავეები

2015 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დეპარტამენტში დასაქმებული იყო შტატგარეშე 20 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა - 101,841.80 ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად[4], შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მოპოვებული მტკიცებულებებით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. კერძოდ, დეპარტამენტში 15 შტატგარეშე პირი აყვანილი იყო 2015 წელს (6-12 თვე) მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად და მათზე ანაზღაურდა - 95,129.10 ლარი (თვეში საშუალოდ 500-750 ლარი). ამასთან, შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ 2015 წლის განმავლობაში (6-12 თვით) მომუშავე 10 შტატგარეშე მოსამსახურე დეპარტამენტში (მათ შორის 2014 წელს 7 მუშაობდა (5-11 თვით) რეგიონული მართვის საკითხებში აფხაზეთის ა/რ-ის მინისტრის აპარატში, მის დეპარტამენტში შეერთებამდე) მუშაობდა 2014 წელსაც (6-12 თვით) და 6 მათგანი ასრულებდა მათზე თავდაპირველად დაკისრებულ სამუშაოებს (მოვალეობებს), ხოლო დანარჩენ 4 შემთხვევაში 2014 წელს მოვალეობები მკაფიოდ არ იყო განსაზღვრული (2014 წლის პერიოდში ევალებოდათ თავმჯდომარის ცალკეულ დავალებათა შესრულება).

შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით შესასრულებელი სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენის ფორმა განსაზღვრული არ ყოფილა. დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციით, შტატგარეშეები ხელშეკრულების ვადის

---

[1] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2014 წლის 5 დეკემბრის N162 ბრძანების „აფხაზეთის ა/რ დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის ყოველთვიური ლიმიტის დაწესების შესახებ“ პირველი მუხლის ა) და ბ) პუნქტები;

[2] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევბილთა საქმეების დეპარტამენტის 2014 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიში N 8/129;

[3] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 27 დეკემბრის N 33 დადგენილების - „სამსახურეობრივი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ“ პირველი და მე-2 მუხლები;

4 საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-8 მუხლი; 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტი; აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 7 ნოემბრის №49 დადგენილების „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი;

გასვლისთანავე გაწეული საქმიანობის შესახებ ანაგარიშს წარუდგენდნენ თავმჯდომარეს, თუმცა 5 შემთხვევაში შტატგარეშე თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიში, მოხსენებითი ბარათი ან სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი სხვა რაიმე დოკუმენტი წარმოდგენილი არ ყოფილა.
აუდიტის ობიექტიდან მიღებული ინფორმაციით, მუდმივი ხასიათის სამუშაოებისათვის შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება განპირობებული იყო მუდმივმოქმედი პროგრამების შესრულების აუცილებლობით. თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა დადგინდა, რომ დეპარტამენტს დამატებითი საშტატო ერთეულების გამოყოფის მიზნით არანაირი წინადადებით, მოთხოვნით ან სხვა რაიმე ოფიციალური დოკუმენტით ზემდგომი აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის (აფხაზეთის მთავრობისათვის) არ მიუმართავს.

სახელმწიფო შესყიდვები

დეპარტამენტში აუდიტის პერიოდში განხორციელებული 67 სახელმწიფო შესყიდვიდან (63 გამარტივებული შესყიდვა და 4 კონსოლიდირებული ტენდერი), სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის CMR მოდულში, 63 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი 255 შემთხვევაში დაგვიანებით იყო ატვირთული. ასევე, შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ვადების დარღვევით (დაგვიანებით) იყო ატვირთული 6 შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება, ხოლო 3 შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ცვლილება[5].
ხელშეკრულებების დადებისას 13 შემთხვევაში არ იყო გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების ან/და სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას[6];
სახელმწიფო შესყიდვებისას 2 შემთხვევაში (CMR150032295, CMR150096517) ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილების საფუძველზე თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულება გაზრდილი იყო 10%-ზე მეტად[7].

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების გარდა, 2015 წელს დეპარტამენტის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა ყველა

[5] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტი;
[6] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ის ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-19 მუხლის მე-14 პუნქტი;
[7] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ის ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი;

არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან.

სხვა განსაკუთრებული გარემოებები

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

არაფინანსური აქტივების ცვეთის დარიცხვისას 7 ერთეულ ინვენტარზე ცვეთის თანხები არასწორად იყო დარიცხული. კერძოდ, 5,270.00 ლარის პირველადი ღირებულების 6 ერთეულ ძირითად აქტივზე (მათ შორის არამატერიალურ აქტივებზე) 2015 წლის ბოლოს ცვეთის თანხის გაანგარიშებისას გამოყენებული იყო არაშესაბამისი ამორტიზაციის წლიური ნორმა, რის შედეგადაც ცვეთის თანხა არამართებულად გაიზარდა 485.00 ლარით.[8] 2015 წლის მაისში დეპარტამენტის თვმჯდომარის ბრძანებით,[9] ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ა/რ მთავრობის წარმომადგენლობას გადაეცა დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული 503.69 კვ.მ საოფისე ფართიდან 82.79 კვ.მ. შედეგად, დეპარტამენტის სარგებლობაში დარჩენილი 420.9 კვ.მ საოფისე ფართის საწყისი ღირებულება განისაზღვრა - 418,360.53 ლარით, ხოლო ნარჩენი საბალანსო ღირებულება - 405,809.70 ლარით. წლის ბოლოს აღნიშნულ აქტივს ცვეთა დაერიცხა შეცდომით საწყისი ღირებულების ნაცვლად, ნარჩენი ღირებულების თანხაზე, რის შედეგადაც ძირითადი კაპიტალის მოხმარება არასწორად შემცირდა 125.50 ლარით.[10]

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების დანართი ფორმების შესაბამისობის შესწავლით და ორგანიზაციიდან მიღებული ინფორმაციით დადგინდა, რომ დეპარტამენტს არასრულად ჰქონდა შევსებული ბალანსის დანართი ფორმა N2 და N5.[11] კერძოდ, ბალანსის დანართ ფორმა N2-ში არ იყო დაფიქსირებული „გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის“ (ძირითადი კაპიტალის მოხმარება - 17,214.09 ლარი). ასევე „სხვა ხარჯები“ (კლასიფიკატორის კოდი 28) წარმოდგენილი იყო მხოლოდ ჯამური თანხით, ხოლო

---

[8] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი და მე-7 მუხლის შიფრები: 4180, 7006; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი;

[9] აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2015 წლის 7 მაისის N18 ბრძანების - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის სარგებლობაში არსებულიუძრავი ქონების, სარგებლობის უფლებით, ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობისათვის გადაცემის შესახებ“ პირველი მუხლი;

[10] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-3 მუხლი. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 24-ე მუხლის 21-ე პუნქტი;

[11]საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი პუნქტი;

„სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები“ (კლასიფიკატორის კოდი 2821) საერთოდ არ იყო შევსებული;
ბალანსის დანართ ფორმა N5-ში 2.2 „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ შემაჯამებელ მუხლში შეცდომით იყო ატანილი 2.2.2 „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლის თანხები, შესაბამისად 2.2 „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ მუხლში ნაშთი წლის ბოლოს შეცდომით წარმოდგენილი იყო 17,956.43 ლარით, ნაცვლად 38,171.11 ლარისა.

მთავარი წიგნი

დეპარტამენტში ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებდა საქაღალდე ბუღალტერიის ფორმით. ,,მთავარ წიგნში“ ბუღალტრულ ანგარიშებზე 1250 (ანგარიში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის) და 1461 (მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით) არ იყო დაფიქსირებული კრედიტის ბრუნვები და თვის ნაშთები, ასევე არასწორად იყო წარმოდგენილი 2122 (მანქანა-დანადგარები) ანგარიშის ნოემბრის თვის და 5100 (წმინდა ღირებულება) ანგარიშის მარტის თვის ნაშთები.
2015 წლის 29 სექტემბერს დეპარტამენტს დაუბრუნდა „შპს ავტოსერვისცენტრ ალბასათვის“ ამავე წლის 9 ივნისს შეცდომით გადარიცხული თანხის 1200.00 ლარის ნაწილი - 500.00 ლარი. ,,მემორიალურ ორდერებში“ და ,,მთავარ წიგნში“ აღნიშნული თანხის (500.00 ლარი) უკან დაბრუნების შესაბამისი გატარება არ დაფიქსირებულა, რის შედეგადაც 500 ლარით იყო შემცირებული 7270 (სატრანსპორტო ხარჯი), 7200 (საქონელი და მომსახურება) და 4100 (ბიუჯეტით მიღებული დაფინანსება) საბუღალტრო ანგარიშების სექტემბრის თვის ბრუნვები და ნაზარდი ჯამები.[12]

აუდიტის ჯგუფი:

უფროსი აუდიტორი	ბონდო გასვიანი
აუდიტორ - ასისტენტი	მიხეილ გოდოლაძე
აუდიტორ - ასისტენტი	ეთერ კაცაძე
აუდიტორ - ასისტენტი	ნინო ბრეგვაძე

16 ივნისი 2016 წელი

[12]საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის 21-ე პუნქტი;